ნაციონალისტი

ორშაბათი ოქტომბრის 31 1920 წ. მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის ორგანო № 27 ფასი 10 მან.

მისამართი:
რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქტორის: წყნეთის № 17. ტელეფონი № 22

ხელის მოწერა:
წლის დამლევამდე — 750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი
მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე — 20 მან. 3-4-გვერდზე — 10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი — 400 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო დრამის თეატრი

დღეს, ოქტომბრის 31-ს

ოიდიპოს მეფე

სოფოკლესი.

დასაწყისი 8½ საათზე.

სამშაბათს, ნოემბრის 2-ს

1. **დარისპანის გასაჭირი.**
2. **ირინეს ბედნიერება.**

დ. კლდიაშვილისა.

ნაციონალური პარტიის კონფერენციის ოქმები

სხდომა მეორე

24 ოქტომბერი 1920 წ. (დილა)

სხდომა გაიხსნა დილის 10 საათზე, დავით ვაჩნაძის თავმჯდომარეობით.

კრების გახსნისას მდივანი მ. იშხნელი კითხულობს მისალმების დეპეშებს კონფერენციისადმი ახალქალაქის ორგანიზაციიდან (ა. ყავრელაშვილის და ს. ნადირაძის ხელის მოწერით) და ახალციხის ორგანიზაციიდან (რ. ალელიშვილის ხელის მოწერით).

ამის შემდეგ კრება გადადის წესრიგის მორიგ საკითხზე: პარტიის მთავარი კომიტეტისა და ფრაქციის მოქმედება... მომხსენებელია გრ. ვეშაპელი, რომელიც ახასიათებს საორგანიზაციო და საპარლამენტო მუშაობას ამ ორი წლის განმავლობაში (დღიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაყოფისა).

მომხსენებელი ამბობს, რომ პარტიის საორგანიზაციო მუშაობის მთავარი დაბრკოლება იყო ის, რომ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის გამოყოფისას, ჩვენ შევარჩინეთ „საქართველოს“ ჯგუფს როგორც პარტიული ფირმა, ისე მთელი საგაზეთო და საორგანიზაციო აპარატი გათავებული მიხეილ მაჩაბელის მებელით, რომელიც დღესაც „ფრასკატში“ უდგას „საქართველოს“ მაგრამ მიუხედავად ამისა ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენმა პარტიამ უკვე მოაწყო სათანადოთ საკუთარი აპარატი, როგორც ცენტრში, ისე პროვინციებში, განსაკუთრებით განაპირა მაზრებში და ჩვენ თამამად შეგვიძლია სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკური ბრძოლა განვაგრძოთ ჩვენი პროგრამის განხორციელებისათვისო.

საპარლამენტო მუშაობას რაც შეეხება, ჩვენი ტაქტიკა ასეთია: თუ პარლამენტში ჩვენ ვებრძოლთ სოციალ-დემოკრატებს უმთავრესად ტეორეტიულად, პრინციპიალურად, დღეს-ჩვენ ვებრძვით მათ (შეკითხვებით) პრაქტიკულ საკითხებზე (მაგალითად ტყის საკითხი, მონოპოლიის საკითხი და სხვ.)

მოხსენების შემდეგ მიცემულ იქნა შეკითხვები და გაიმართა კამათი რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: გ. ამირეჯიბმა, გ. წინამშვარიშკილმა, დ. ღოღობერიძემ, ს. კაკაბაძემ, რ. გაბაშვილმა, მ. იშხნელმა, კ. კაპანელმა, ი. ციციშვილმა, მ. მაჩაბელმ.

რ. გაბაშვილი იმის მომხრეა, რომ დამფუძნებელ კრებაში ისეთივე ოპოზიცია ვაწარმოოთ, როგორც პარლამენტში იყო.

კამათის დროს შეეხენ აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატიულ და საზოგადოთ სხვა არა სოციალისტურ პარტიებთან დამოკიდებულების საკითხს.

მომხსენებელი განმარტავს, რომ თავის დროზე ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ უარყო შეთანხმება და კოტე აფხაზის „უპარტიო პარტიასთან“ არჩია ბლოკი, ხოლო დღეს კი ჩვენთვის სრულებით ზედმეტია შეთანხმებაზე ლაპარაკი ჩვენ საკმაოდ ძლიერი ვართ, როგორც იდეურად, ისე ორგანიზაციულად, რომ სოფლის, მიწის მესაკუთრეთა პოლიტიკა ქალაქის სპეკულიანტებისაგან დამოუკიდებლივ ვაწარმოოთ. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაზე მეტი საერთო ჩვენ გვაქვს რადიკალ დემოკრატიულ პარტიასთან, მაგრამ იგი ამ კამად სამწუხაროდ აღარ მოქმედებს.

კამათის დასასრულ დადგენილ იქნა მომხსენებლის რეზოლიუციის პროექტის საბოლოო რედაქცია მიენიჭოს კონფერენციის პრეზიდიუმს და კონფერენციის სამ წევრისაგან შემდგარ კომისიას (რომლის შემადგენლობა წინანდელ ოქმში იყო მოხსენებული).

ამის შემდეგ კონფერენცია გადადის ადგილებიდან (პროვინციიდან) მოხსენებებზე.

სიტყვა ეძლევა ბათუმის დელეგატს ნესტორ (მურად ბეი) მაღალაშვილს, რომელიც დაწვრილებით უამბობს კონფერენციას მიზეზებს იმ უკმაყოფილებისას რომელიც არსებობს ამ ჟამად აჭარა ქობულეთში და მთელ სამუსლიმანო საქართველოში სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკის გამოისობით.

ამის შემდეგ კონფერენციას ოსმალურ ენაზე ესალმება ქობულეთელი დელეგატი ბ-ნი თავდგირიძე (მისი და ნ. მაღალაშვილის სიტყვები ცალკე იქნება დაბეჭდილი).

სხდომა სწყდება 4 საათზე.

ამავე სხდომაზე ფოტოგრაფ კლარის მიერ გადაღებულ იქმნა კონფერენციის წევრთა საერთო სურათი.

ფრანგულ ქართული ბანკეტი პარიზში

სექტემბრის 27 პარიზში გაიმართა ფრანგ მრეწველთა მიერ მოწყობილი ფრანგული-ქართული ბანკეტი, ბანკეტზე თავმჯდომარეობდა ბ-ნი ნულანსი, საფრანგეთის ყოფილი ელჩი პეტროგრადში საფრანგეთის მთავრობის მხრივ დაესწრენ: სახალხო განათლების მინისტრი ბ. გონორატი, მრეწველობის აღორძინების მინისტრი ბ. ლიუშერი, საგარეო საქმ. სამინისტროს ვაჭრობა მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი ბ. ლიაროში, ამავე სამინისტროს ბეჭდვითი განყოფილების დირექტორი ბ. მილგო, საფრანგეთის უმაღლესი კომისარი კავკასიაში ბ. შევალიერ და სხ.

საფრანგეთის მრეწველობის, კომერსანტების და ფინანსისტებიდან ბანკეტს დაესწრენ: ბ. ქილე (ლევანტისა და რუსეთის სავაჭრო ბანკისაგან) ბ. ბ. ბალარი ფონტენი და რობენი („კავკასიის საზოგადოებისაგან“) ბ. გერბერტი („აბრეშუმის მრეწველ ფირმა“ შაბრიერ მორელისაგან) ბ. ფერარი („ფერარის ფირმისაგან) ბ. ბ. მერეიე და დემატრი (მარგანეცის ფრანგმრეწველობისაგან) და მრავალი სხვა

საქართველოს მხრივ ბანკეტზე დაესწრენ: ნ. ს. ჩხეიძე, ე. ბ. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ელიგულაშვილი და სხ.

ბანკეტის თავმჯდომარე ბ-ნი რეულანზო მიესალმა რა საქართველოს წარმომადგენლებს დიდი თანაგრძნობა (სიმპატია) გამოსთქვა ახალგაზრდა რესპუბლიკისა და მისი მთავრობის მიმართ. მან მოიგონა ქართველი ერის სახელოვანი წარსული და შემდეგ თანამედროვე საქართველოს შინაურ მდგომარეობის დახასიათებაზე გადაიარა: ამ ორი წლის განმავლობაში საქართველომ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა. თქვენი რესპუბლიკა თქვენი მეზობლებისათვის წესრიგისა და თავისუფლების მაგალითს წარმოადგენს საფრანგეთი ვალდებულია დიდის ყურადღებით და გულწრფელი თანაგრძნობით მოეპყრას საქართველოს და დახმარ ბის ხელი გაუწოდოს მასთ - სთქვა ნულანსმა.

თავმჯდომარის შემდეგ ვრცელი საქმენი სიტყვა წარმოსთქვა ბ. ბიირმა ოგორც საფრანგეთის მრეწველობის წარმომადგენელმ.

ბ. ბაირამ მოიგონა საფრანგეთის კაპიტალის დიდი ხნის მუშაობა საქართველოში ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში, სპილენძის მრეწველობაში და წყლის ენერგიის ელექტროფიკაციის საქმეში. ბაირი როგორც პირდაპირი, მონაწილე მთელი რიგ სამრეწველო დაწესებულებისა, რომელიც საფრანგეთის კაპიტალი შეიქმნა საქართველოში, აღნიშნავს, რომ იგი იცნობს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს და ქართველ ხალხს. მას მტკიცედ სჯერა, რომ ამ ახალგაზრდა რესპუბლიკის ბრწყინვალე მომავალი ექნება, ბეიერს თვალსაჩინოდ მიაჩნია საქართველოს მთავრობის მიერ მიღწეული შედეგები, მაგრამ მომავალში იგი მისაგან უფრო მეტს მოელის.

ქრონიკა

ინგლისელების ვალი

მთავრობამ ოქტ. 26 სხდომაზე დაადგინა: დაევალოს ფინანსთა და სამხედრო მინისტრებს გადასწყვიტონ საკითხი თუ ზოგიც იქმნას გადახდილი ინგლისის ჯარისა და ბარგის გადასახადი ფული, რომელიც საქართველოს ოკინის გზას ერგება.

ქალაქის საგარეო ვაჭრობა

მთავრობამ დაადგინა უარყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება შესახებ იმისა, რომ თბილისის ქალაქის თვითმართველობას მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან საქონლის გატანის უფლება. ამასთანავე დაადგინეს დაჩქარებულ იქმნას ქალაქთა საბიუჯეტო უფლები კანონ-პროექტის დამუშავება.

მამულის ჩამორთმევა

მთავრობამ დაადგინა თანახმად ქ. ლანჩხუთის ქალაქთა თვითმართველობის დადგენილებისა გადაეცეს მას კვასძახის მამული უკვე შეფასებულ ფასებში.

უკანასკნელი ცნობები

ოსმალებს იერიშები მიაქვთ ყარსის ციხეზე. მათ მარცხენა ფრთას შემოუარეს.

—

ბოლშევიკებმა აიღეს ქალაქები: ბერდინსკი და ნოგაისკი.

—

30 ოკტ. ღამის 1 ს. 15 წ. თბილისში საგრძნობი მაგრამ უზარალო მიწისძვრა მოხდა.

სახელმწიფო მოსამსახურეთა კოოპერატივი

მთავრობამ დაადგინა შედგენილ იქმნას კომისია მოამზადებენ სამინისტროს თავჯდომარეობით სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა კოოპერატივისათვის დახმარების აღმოსაჩენათ. დასახელებულ კომისიაში უნდა შევიდნენ ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრები და სახელმწიფო კონტროლიორი.

სახალხო უნივერსიტეტში

ოქტომბრის 31 გაიხსნება სახალხო უნივერსიტეტი, გახსნაზე მიწვეულია მთავრობის თავჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია, კარლ კაუცკი და აგრეთვე საზოგადო მოღვაწენი. ამ წლიდან სახალხო უნივერსიტეტში ლექციების კითხვა სისტემატიურათ ექნება უნივერსიტეტი გაიხსნება ძველ ბინაზე პლეხანოვის პროს.

სასურსათო საქმეები

თბილისის ქალაქის გამ. სასურსათო განყოფილება საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ოქტომბრის 30 და 31 ცენტრალურ საწყობში დაიწყება ხორბლის გაყიდვა; ცნობის მიღება შეიძლება ტექნიკურ ზედამხედველობის განყოფილებაში. სასურსათო განყოფილება ყიდის 20 მანეთად გირვანქა კართოფილს, კართოფილი იყიდება სასურსათო მაღაზიაში. სულზე იძლევიან არა უმეტეს 10 გირვანქისა.

რესპუბლიკის საავადმყოფოები

მთავრობამ ოქტ. 21 სხდომაზე დაადგინა მიხეილის საავთმყოფოს ამერიდან დაერქვას რესპუბლიკის მთავარი საავთმყოფო: ოლოს სახელობის საბებიო ინსტიტუტს კი რესპუბლიკის საბებიო ინსტიტუტი.

სოციალური დახმარება

შრომის სამინისტროს სოციალურ დახმარების განყოფილებაში შედის მრავალი თხოვნა ყოფილ სახელმწიფო მოსამსახურეებისა, რომელთა საბუთებიც ოსმალების შემოტევისა და ანარქიულ გამოსვლების გამო დაკარგულია. ეხლა მეტად დიდ საჭიროებაც წარმოადგენს ამ საბუთების აღდგენა. ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო შრომის სამინისტროს სოციალ. დახმარების კომიტეტმა მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა დააკმაყოფილონ ამ გვარი პირთა შუამდგომლობანი მიუხედავათ საჭირო საბუთების უქონლობისა.

სოც. დახმარების განყოფილებაში ამ ჟამად ირიცხება 1.200 პენსიონერი, რომელნიც თვიურად 550 დან 3000 მანეთამდე ღებულობენ. პენსიონერთა საერთო რიცხვიდან ტფილისზე მოდის 75 პროც.

სოც. დახმარების განყოფილებას მოდის ყოფილ სახელმწიფო მოსამსახურეებისა და ქვრივებისა: ობლებისა და მშიბლების საჩივრები ი ის შესახებ, რომ სამაზრო ერობათა გამგეობანი თვეობით აკავებენ მათ თხოვნებს, ხშირათ მოთხოვნელებს უხდიან 60---70 ვერსტიდან ჩამოსვლა სამაზრო ქალაქში. განმართველობის ესამოწმებლად, მაგრამ ხშირად ეს მგზავრობა მათ უცდებათ, რადგანაც ქალაქში ექიმი არ აღმოჩნდება. ეს დეფექტები უმთავრესათ მით აიხსნება, რომ ერობებს აქ აქვს სოც. დახმარების განყოფილებანი. ამასთანავე საქმეს ხელს უშლის ის გარემოებაც რომ ერობები შრომის სამინისტროს უგზავნიან საბუთებს თხოვნებს დახმარების შესახებ.

სათბობი მასალა

გზათა უწყების დეპარტამენტი აცხადებს რომ ზოგიერთ მოთავსებული ცნობა ამის შესახებ, რომ ელექტრონის სადგურები 4 თვის განმავლობაში უზრუნველყოფილია სათბობი მასალითო, სიმართლეს არ შეეფერება.

ნავთის ბარათები

თბილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაუზოგავ მცხოვრებთ სასურსათო ბარათების, რომლითაც პირველ ყოვლისა მიეცემათ ოჯახზე 20 გირვანქა ნავთი თვიურად: ბარათები შემოღებულ იქნება ნოემბრის 1. ბარათები მიეცემა მცხოვრებთა დასარიგებლათ სახლის კომიტეტის რწმუნებულს. ბარათების მისაღებად საფლის კომიტეტის რწმუნებულმა უნდა წარმოადგინოს: 1) სახლის მცხოვრებთა რწმუნება, 2) სახლის წიგნი და 3) სახში მცხოვრებ ოჯახთა სია და სწორი ცნობა, თუ რამოდენი სულია თითო ოჯახში. ყოველ ოჯახს მიეცემა ერთი ბარათი. კერძო პირებს ბარათები არ მიეცემათ და ამიტომ ისინი რომ ლიმე ოჯახს უნდა მიეწეროს,

ხახვის მომარაგება.

მუშათა მაგიდამ მიიღო 2 ვაგონი ხახვი. 1 ვაგონი გადაეცა ტრანსპორტის და ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთ. ამ დღეებში კიდევ მოელიან რამოდენიმე ვაგონ ხახვს.

მიწის ძვრა

ოქტ. 29 ღამით მოხდა ძლიერი მიწის ძვრა ზარალი მიიტანა თუ არა გამორკვეული არ არის. შინ. საქმ. სამინისტრომ შეეკითხა გორის და მისდამი რწმ. დაწესებულებებს მიწის ძვრის შესახებ. დეპ. საგ. შეკითხვაზე უპასუხა რომ მიწის ძვრისაგან დაზარალების შემთხვევები ჯერ შენიშნული არ არისო- სამთო სამართველოც შეეკითხა გორის სეისმგრაფიულ სადგურს მიწის ძვრის შესახებ, მაგრამ პასუხი ჯერ არ მოსულა.

კლუბებისა და რესტორანების დახურვა

მთავრობამ მოისმინა მოხსენება კლუბების და რესტორანების დახურვის შესახებ და დაადგინა: 1. დაიხუროს კაფეშანტანები და კლუბები, რომელთაც გართობის ხასიათი აქვს. აგრეთვე დაიხუროს ის რესტორანები, რომელთაც კაბინეტები აქვს. და სხვა. ამ გვარი დაწესებულებები. 2. დაწესდეს რესტორანებისა. სასადილოებისა და საპიკიტნოებისათვის ვაჭრობა საღამოს 10 საათამდი ახალი დროით. 3. სასტიკათ განისაზღვროს სამიკიტნოებისა და ყავა ხანების რიცხვი.

აიკრძალოს ყოველგვარი ტკბილეულობის გაფოცხობა გარეკ შაქრის მაქრისყინულისა, მონპასიესი „სუხარებისა“ და ბისკვიტებისა და ბულკებისა. 5. მშრომელთა სიმშვიდის დასაცავად აიკრძალოს კერძო ბინებზე ქვეფი და ყოველგვარი მხიარულება, რომელიც მეზობლის მყუდროებას არღვევს. პირველი მუხლის დამრღვევნი დაისჯებიან ოთხი თვის ან 200.000 მან. ჯარიმის გადახდევინებით. მხოლოდ მეხუთე მუხლის დამრღვევნი დხვტიმრებულ იქნებიან ოთხი თვით ან დაჯარიმებული 10.000 მანეთით, აქედან შემოსული ფული გადაეცემა შრომის სამინისტროს სოციალურ დახმარების მოსაწყობათ, დადგენილების შესრულება ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ნ. ჟორდანია · სიტყვა

საგარეო ედგომარეობაზე

(გვარდიის კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებიდან).

რასაკვირველია ჩვენ ხელში არ არის, თუ ჩვენი ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა დამოკიდებულია ჩვენზე და მისი გამოსწორება შეგვიძლია ჩვენი შრომითა და მოქმედებით, საგარეო მდგომარეობა დამოკიდებულია საერთაშორისო სახელმწიფოთა ურთიერთ განწყობილებაზე; და აქ შეგვიძლია მხოლოდ ერთი რამ: ეს განწყობილება ნათლად წარმოვადგინოთ, სწორედ შევიგნოთ და ამ საერთო მდგომარეობაში ჩვენ ჩვენი მართალი და საკუთარი პოზიცია მოვნახოთ. ასე, თუ ისე ჩვენი საგარეო პოლიტიკის აზრი იმაშია, რომ ამ საერთო დახლართულ დროში ნათელი წარმოდგენა ვქონდეთ და არ გადავიხაროთ იქ, სადაც ჩვენი ადგილი არ არის. არ დავკარგოთ ჩვენი შესაფერი პოზიცია. ეს ამიტომ მე მინდა, გაგაცნოთ ის დახლართულ ურთიერთობა რომელიც დღის არსებობს და ასეთ ურთიერთობაში ჩვენი სახელმწიფოს პოზიცია, თქვენ იცით რომ დღეს, ერთი მეორეს უბირდაპირდება ორი ქვეყანა. ერთი ევროპა, და მეორე ბოლშევიკური რუსეთი და რამოდენიმეთ ზოგი აზიური ხალხები და სახელმწიფოები. აქ ბოლშევიკური რუსეთი ვამოდის როგორც მეთაური აზიის აჯანყებისა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპისა. რას ნიშნავს ეს, უნდა ვსთქვა, რომ ბოლშევიზმი უპირველეს ყოვლისა არის წმინდა რუსული რევოლიუციონური მოძრაობა, და მიმართულება, შიგნით აფირაფებული, სწორედ რუსული „ობშჩინური“; ერთნაირი მოკიკალური იდეები, იმდენად, რამდენად ეს რევოლიუციონური მოძრაობა არი, უეჭველად პროგრესიულია. ამით ისინი წაგავენ იმ რევოლიუციონერთ, რომელნიც არსებობდენ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, ე. ი. იაკობინელს.

უეჭველია სიდიადე და სისაძაგეც იმდენად იყო რუსეთში დაგროვილი, იმდენათ ღრმა იყო ძველი რეჟიმის ძირი, რომ მის აღმოსაფხვრელად საჭირო იყო ისეთი დიდი მოძრაობა, როგორც არის ბოლშევიკური. ეს მოძრაობა არის ნამდვილი ღვიძლი შვილი რუსეთის მდგომარეობაში. რამდენათ მან ძველი ნაშთი სავსებით ამრავლა და მისი დაბრუნება აღარ შეიძლება, იმდენად ბოლშევიკური მოძრაობა პროგრესიულია (ხმები მართალია). მაგრამ ამ ბოლშევიზმმა თავისი როლი ეს დიადი საქმე შეასრულა იმითაც, რომ მას მიაკერა ისეთი დღეები, რომელიც განუხორციელებია რუსეთის ფარგლებში ეს ეგრეთ წოდებული კომინისტური იდეები.

სახელმწიფო ბანკის გამგეობისაგან.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ხოვერთ გაზეთებში იბეჭდება წერილები უცხო ვალიუტის ოპერაციის მოწესრიგების ხაკითხის და მასთან საქართველოს სახელმწიფო ბანკის დამოკიდებულების შესახებ. საზოგადოებას რომ ნათლად ექნეს წარმოდგენილი სახელმწიფო ბანკის როლი ამ საკითხში (იმ ოპერაციის წარმოებაში) და ამასთანავე ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ბანკის გამგეობა მოვალედ რაცხს თავის თავს განაცხადოს შემდეგი:

მთავრობის ა. წ. აგვისტოს 31-ს და ენკენისთვის 1,1 ს და ბანკის საბჭოს 30 აგვისტოს და 22 ენკენისთვის დადგენილებებით და უცხო ვალიუტის ოპერაციის მომწესრიგებელ საგანგებო სათათბიროს 16 ენკენისთვის სავალდებულო დადგენილებით სახელმწიფო ბანკს დაეკისრა:

1) შექმნა სავალიუტო ფონდისა, რომელშიაც უნდა ჩაირიცხოს 25 პროც. იმ წმინდა მოგებიდან, რომელსაც მიიღებს ვალიუტით მთავრობა და მისი ორგანოები სხვადასხვა სავაჭრო ხელშეკრულებებიდან და ოპერაციებიდან.

2) დაწესება იმ ნორმისა, რომლის ფარგლებში ნებადართულია დაუბრკოლებლივ გატანა, გაგზავნა და გადაგზავნა საზღვარ-გარედ უცხო ვალიუტისა.

3) ნებართვებ-ს გაცემა საზღვარ-გარედ განსაზღვრულ ნორმის ზევით უცხო ვალიუტის გატანაზე, გაგზავნაზე და გადაგზავნაზე.

4) ნებართვების გაცემა უცხო ვალიუტის შესაძენად სავაჭრო-სამრეწველო მიზნით.

5) ზედამხედველობა და კანტროლი იმ საკრედიტო დაწესებულებებზე, რომელთაც საგანგებო სათათბიროს მიერ მინიჭებული აქვთ უცხო ვალიუტის ოპერაციის წარმოების უფლება.

6) ზომების მიღება ძველი ისეთი ანგარიშების და ხელშეკრულობების ლიკვიდაციოდ, რომლებიც განაღდებულ ნდა იქმნენ უცხო ვალიუტით.

არავითარი სხვა ვალდებულება ან კურსის დადგენის, ან საგარეო და საშინაო ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ სახელმწიფო ბანკს თავის თავზე არ მიუღია.

ზემომოყვანილს უმატებთ, რომ სახელმწიფო ბანკი ჯერჯერობით თვითონ არ აწარმოებს თავის საშუალებით უცხო ვალიუტის ყიდვა-გაყიდვას, ვინაიდან მას ამ მიზნისთვის საკმაო თანხა არ აქვს.

ბანკის მმართველი **ი. ლორთქიფანიძე.**

მისი ამხანაგი **რ. დუმბაძე.**

გამგეობის წევრნი **ი. მეწაბდე** და **ს. კილაძე.**

27 ოქტომბერი 1920 წ.

ქოგულეთის ამგეგის გარშემო

„ბათუმის ფურცელში“ № 34 *) მოთავსებულია შემდეგი საყურადღებო წერილი რედაქციის მიმართ:

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით პასუხი გავსცეთ ჩვენი დეპეშის შესახებ თქვენს გაზეთში მოთავსებულ წერილს, რომელსაც მეტის-მეტათ აუღელვებია ბ-ნი წერილის ავტორი და ჩვენს შეურაცხყოფა-დაჩაგრებას არ მოერიდებია. ჩვენ ისეთი არაფერი გაგვიკეთებია და გვიქნია. რომ ასე გაეთელათ ჩვენი პიროვნებები. ჩვენ, სანამ დედა ქალაქში გადავსწყვეტდით დეპეშის გაგზავნას, მივმართეთ ბ-ნ გუბერნატორს, რომ ცოტა შელავათი მიეცა საწყალი ხალხისათვის, თუმცა ჩვენც თვით აღელვებული ვიყავით ასეთი საზიზღარ მოქმედებით, მიგრამ დამნაშავე და უდანაშაულოს მაინც უნდა ჰქონოდა გარჩევა და ეთნაირათ არ უნდა დასჯილიყვენ. რადგანაც ჩვენ გვყავს დღეს დემოკრატიული მთავრობა ღრმათა, ვართ დარწმუნებული ხალხის იმედებს და სურვილებს გაამართლებს და გაარჩევს მტყუანს და მართალს. ხალხი იმისათვის იბრძოდა თავისუფლებისთვის, რომ მტყუან-მართალს გარჩევა ჰქონოდა. ჩვენთან მოვიდა საწყალი ხალხი ფეხშიშველა და გვთხოვა. რაც უნდა უგრძნობი და უგულო ყოფილიყავი კაცი არ შეეძლო მათი თხოვნისათვის ყურადღება არ მიექცია. რადგანაც ყველანი ადამიანის შვილები ვართ, მეზობლები და დღეს მათთვის შიცდომების გამო არ შეგვეძლო ზურგი გვექცია და უარი გვეთქვა თუ კი რამ დახმარება გაგვიწევდოდა. ჩვენც ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენს თხოვნას მიიღებდა ბ-ნი გუბერნატორი და ცოტათი მაინც მოგვცემდა შელავთს, ავდექით და ჩავედით ბათუმში, სადაც მივმართეთ ბ-ნ გუბერნატორს და ვსთხოვეთ შეწყნარება, ბ-ნი გუბერნატორი კი შეწყნარების მაგიერ სხვა სოფლებზე დაგვექადნა და გვითხრა: ბრძანება გაცემული მაქვს, სხვა სოფლებში მიდის ეხლა ჯარი, ჩვენც, შეშინებულმა ამ სიტყვებით, გადავსწყვიტეთ მიგვემართა უმაღლეს მთავრობისთვის: ბ-ნ მთავრობის თავჯდომარისთვის და ბ-ნ აკაკი ჩხენკელისთვის, რომ არ დავლუპულიყავით და არ ავწაოკებულიყავით უდანაშაულო ხალხი, ჩვენ კი არ ვიცით რაშია აქ დიდი დანაშაულობა. რა მოხდა ისეთი? ვის მივმართეთ? უმაღლეს მთავრობას. სულთანს ხომ არა? ბ-ნი წერილის ავტორი ჩვენი დეპეშის შინაარს უწოდებს უტიფრობას, ვერ გაგვიგია რაშია აქ უტიფრობა; ჯარი მოვიდა, საქონელი გარეკეს, ხალხს აწიოკებენ უბრალოდ, სცემენ... გეკითხებით ბ-ნო ავტორო ამაშია უტიფრობა? შეიძლება თქვენ არ იცოდეთ რომ იქ მოვიდა დამსჯელი რაზმი, თუ გნებავთ შეეკითხეთ თვით ბ-ნ გუბერნატორს თუ არ ყოფილა ჯარი და აქ უკვე ცხადია რაკი ჯარი იქნა გაგზანილი, მას ყველაფერი მოუვლია, რათ გგონიათ თქვენ, რომ ეს ყველაფერი არ მოხდა, ამის მოწმეა თვით ოლქის კომისარი, რომელიც ამ ამდენ მობრძანდა და სამი დღე იქ დარჩა, რომ ეყურებია ჯარის მოქმედებისთვის. განა თქვენ ეკვი გეპარებათ, რომ ჯარი ზიანს არ მიუტანდა ხალხს, არ ააწიოკებდა? ან საქონელი არ გაურეკავთ? ან და არ ცემიათ? სცდებით ბ-ნო ავტორო, ყველაფერი ეს მოხდა. ვის უმალავთ? თქვენ თვითონ გაითვალისწინეთ ორმოც მოსახლეზედ ისიც გაჭივრებულებზედ ერთი მილიონი მანეთის გადახდევინება, ისიც ცხრა საათის გამავლობაში. შეძლებდენ განა ამას? და იმის საფასურათ არ წაიღებდენ ნივთებს, საქონელს და სხვა რამეს? და ამის შემდეგ გეკითხებით თქვენ: აწიოკებული ხალხი თუ არა? მაგრამ ნათქვამია ენას ძვალი არ აქვსო—მართალია.

თქვენ ამბობთ ბ-ნო ავტორო, რომ ჭყონიები, ინაიშვილები და მოწყობილები აი ესენი კუშინდელი აგენტები - „სედაი მილეთისო“ აქ კი დადათ ცდებით, ჩვენ თუ რაიე საქმე გვქონდა „სედაი მილეთელებთან“ გთხოვთ დაგვიმტკიცოთ და სისხლის სამართალშიც მიგვცეთ, ჩვენ მზადაკართ, მაგრამ ვაი რომ სცდებით და ვერ გაგირჩევიათ ვინ იყო, სედაი მილეთელი და ვინ სცნობდა თავის მოძმეს, ნამდვილი „სედაი მილეთის“ მომუშაკეც აწერდა ხელს მაზედ, მაგრამ თქვენ მას არ ჰეხებიხართ. არც მოისურვებდით მის შეხებას, რადგანაც ის ნამდვილი „სედაი მილეთელი“ იყო. თუ გინდა ავიღოთ ჩვენი კუთხის დამლუპველი. და მთელი აჭარისტანის მთავარი სარდალი, როგორც ის უწოდებდა თავის თავს, ქესკინზადე (იგივე ქესკინ-ოღლი) ეს ხომ ცხადი იყო, მაშინ ხომ არაფერი საეჭვოა, რომელიც თავისუფლად დაბრძანდება რესპუბლიკის დიდა ქალაქში. ისე რომ მივქცეულიყავით ჩვენც და ავყოლოდით ხალხი გამყიდველებს შეიძლება დღეს ბ-ნი წერილის ავტორიდან დიდი პატივით დაგვდებოდა, მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამს რომ ჩვენ ვართ შვილები დედა საქართველოის და მას არასოდეს ულალატია ებთ და არც ერთი წუთით გვალალატნია ჩვენი სინდისისთვის, რასაც დამტკიცებს თვით ჩვენი ღირსეული ამხანაგი. მასთან დაბოლოს იძულებულიც გავხდით დავხიზნულიყავთ ქალაქ ბათუმში, სადაც ყოველ წუთობით მოველოდით საქართველოს ჯარის შემოსვლას და ბრბოებისაგან განთავისუფლებას. მაგრამ თქვენ მოგვნაღლეთ „სედაი მილეთელებთან“ და ქემალისტებათ, გარწმუნებთ დიდათ სცდებით და მიკვირს რათ მოგვიდათ ასეთი შეცდომა- თქვენ ბრძანებთ ბ-ნო ავტორო: ქობულეთის ტელეგრამის ავტორებმა პასუხი უნდა აგონ, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებმა კი ბ-ნო! ჩვენ მზათ ვართ. მაგრამ ჩვენთან ერთად თქვენც მზათ უნდა იყვეთ. რადგანაც თქვენც უნდა აგოთ პასუხი ასეთი ცილის წამებისათვის. ჩვენ რაც დავსწერეთ და ვსთქვით თუ ეს მათთალი არ ყოფილა ბრძანოს ბ-ნა აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც თავისი ყურით მოისმინა ყველაფერი, ჩვენ კი ყველაფერი მართალი ვსთქვით და პასუხსაც ვაგებთ ამაზედ, მხოლოდ თქვენ, რომ მოალალატეს და ცილს გვწამებთ, გთხოვთ პასუხი აგოთ თუ არა მივმართავთ სასამართლოს და ბოლოს უნდა მოგახსენოთ ყველათ საყურადღებოდ, რომ არ არის ლამაზი ასე ხელის წამოკვრა სამი ოთხი გვარეულობის ჩვენც ადამიანები და ხალხი გვქვია და ასეთ მოქმედებას არავინ მოგიწონებენ, რადგანაც ერთმა და ორმა თუ რამე დაეშავა აქ რა შუაშია მთელი გვარეულობა,

მემედ-ადა ჭეონია, ქესკინ ინაშვილი და მოწეოზალი.

კორესპონდენცია

თბილისის მაზრიდან

(წისქვილები და მაზრის ერობა)

მაზრის ერობის წარმომადგენელმა, ამ დღეებში დაათვალიერა ჩვენი ხეობის წისქვილები. შემდეგ დაიბარა წისქვილების პატრონები. მეწისქვილეები და გამოუცხადა: 1920 წ. წისქვილის შემოსავალი (მინდი) ნახევარი ჩვენ ერობას უნდა გადმოგვეცეს მაგრამ ფასებში (მცირე ფასებში) და მხოლოდ ნახევარია თქვენი წისქვილის პატრონებმა უპასუხეს: 1920 წელიწადი გასულია, პური შეჭმული გვაქვს და საიდან შეგვიძლია ეხლა ნახევარი მოგცეთ! წელს პურის მოსავალი არ იყო, მომკტებულ ნაწილად სიმინდი იფქვება. რაკი საქმე ეგრე ყოფილა, დღეიდან დააყენეთ თქვენი წარმომადგენელი წისქვილებში რაც შემოვიდეს ნახევარი თქვენ წაიღეთ, ნახევარი ჩვენ გადმოგვეცით. ზოგიერთებმა ესეთი პასუხი მისცეს ჩვენ ერთ წისქვილში ბევრი ვართ ამხანაგები. ხვნა თესვა ჩვენ არა გვაქვს, მინდის ინაბარათ ვიმყოფებით, ისიც რომ თქვენ წაიღოთ ჩვენთვის გამოსაკვებათ პური—სიმინდუ სად ვიშოვოთ, საიდან მოვიტანოთ.

ესეთი ნაბიჯი მაზრის ერობისა ნამღვილი ბიუროკრატიული არის და მოგვაგონებს „ნიკოლოზის“ რეჟიმის დროს რესკრიპტებს: „ჩვენ ესე ვბრძანეთ და აასრულეთო“ ჩვენ კიდევ არა გვეთქმის რა, რომ რეკვიზიცია უყონ შეძლებულ წისქვილის პატრონს, მაგრამ ისეთებს, რომლებიც თითონ ყიდულობენ პურს, რათ უნდა წაეროვას ის მცირე ხვედრი თავის წისქვილის შემოსავალიდან?!

ესეთი ხომა მაზრის ერობისა კაცს გულში უკლამს ყოველივე ინიციატივას საქმისას და დღეიდან ჩვენში ისედაც მოშლილი წისქვილები უარესად უნდა მოიშალოს. ამიერიდან რომელი წისქვილის მეპატრონე შეეცდება იყიდოს ახალი წისქვილის ქვები ამ საშინელ სიძვირეში და კარგათ დააყენოს თავის ქარხნის საქმე?! დიდი მოსავლის დროს ჩვენს წისქვილებში თიეობით უცდიდენ დაფქვის რიგს და ამის შემდეგ ორი სამი თვეობით უნდა იცადან წისქვილში და მუშაკაცს ტყუილ უბრალოთ ეკარგებოდეს ძვირფასი დრო.

გ.

დუშეთის მაზრის ერეგა*)

ვის ხელშია დღეს დუშეთის მაზრის ბედ-იღბალი.

ამ წლის ივლისის პირველ რიცხვებში დუშეთის ერობის გამგეობა ძირიანთ შეიცვალა წავიდნენ გამგეობის წევრები ბ. ბ. ფარხიევი და სულიაშვილი და მათ მაგიერ მოვიდნენ პ. თოთებაძე, ნ. ლიჟავა და ი. ტყემალაძე.

ერობის ბედ-იღბლის მოინტერესეთ ეგონათ, რომ ახალი გამგეობა სალი გონებით დაიწყებდა მოქმედების, გააჯანსაღებდა და გომაცოცხლებდა ერობას, არ მიაქცევდნენ ყურადღებას წარსულ ინტრიგანობის შედეგებს, მაგრამ ეს სამი გამგეობის წევრი მოსვლის უმალ ჩავარდნენ ჭონიაშვილისა, ცეცხლაძისა, და კალანდარაშვილის გავლენის ქვეშ ასე, რომ მათი პირადი ინიციატივა და აზრი სულ მთლიანათ დაჰკარგეს, ჭონიშვილის ჰგუფის ყურ-მოჭრილ მონად გადაიქცნენ და რასაც ეს ვაჟბატონები უკარნახებენ ქვევრებივით იმასვე ამოიძახებენ. მაგრამ რაუყოთ ალბათ დუშეთის მაზრა უიღბლო ვარსკვლავზეა გაჩენილი, რომელსაც არც ძველი რეჟიმის დროსა და არც ეხლა ბედი არა სწყალობდა და არა სწყალობს. ახალმა გამგეობამ ჭონიაშვილის მეთაურობით ერობიდან გააძევა საუკეთესო სპეციალისტები სამაზრო ექიმი, ბეითალი და აგრონომი. რისთვის? და მისთვის, რომ ეს სპეციალისტები ყოველ დღე სულ ახალ-ახალ მოთხოვნილებებს ურდგენენ დუშეთის მაზრის გაუმჯობესებისათვის. გამგეობა კი ამ მოთხოვნილებებს ვერ ითვისებდა თავისუ უცოდინარობით, ვინაიდან მათი სპეციალური მოთხოვნილებანი გამოუცდელი გამგეობისათვის ძნელი მისაღები და გასაგები იყო, რის გამოც გამგეობასაც და სპეციალისტების შორის ყოველთვის უთანხმობა იყო. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: ერთ გამგეობის კრებაზე სამაზრო ექიმმა ბ. ბაქრაძემ მოხსენება გააკეთა და სხვათა შორის აუცილებელ საჭიროებათ სთვლიდა, რომ გამგეობას მისთვის ნება დაერთვა მედიკამენტების შეძენის შესახებ, ვინაიდან მისი აზრით ახლო მომავალში მთავრობა ტაქსის გადიდებას აპირებდა მედიკამენტებზე და ცდილობდა, რომ ერობას სათადარიგოდ წინასწარ იაფ-ფასად შეეძინა გამგეობამ ბევრი უარები უთხრა ექიმს, მაგრამ ბოლოს როგორც იყო დაეთანხმენ, მაგრამ ჭონიშვილმა უთხრა „რა საჭიროა თქვენი წასვლა თფილისში მედიკამენტების შესაძენად სულ ერთია მე მივდივარ და მეც შეგაძენო“. რასაკვირველია, რომ ექიმი ამ გვარ მოთხოვნილებას ჭონიშვილისას ვერ მიიღებდა, ვინაიდან აქ სპეციალისტი იყო საჭირო და არა ერობის თავმჯდომარე, ოომელსაც ასე ადვილი ჰგონია სპეციალისტის მაგიერობის გაწევა, მაგრამ რაუყოთ ეხლანდელ დროში ყველაფერი მოსალოდნელია, მძლავრ პარტიას შეუძლიან ყოვლად უვიცებით თავჯდომარეთაც აქციოს და ყოველგვარ სპეციალისტათაც. რას იზამ წაწყენინდა მიხედულობამო, ხედავს ალბათ ამგვარ მაგალითებს ბ. ჭონიშვილი და ისიც ამათ შემხედი ხან ზნეს იცვლის ხან ფერსა. კიდევ მეორე მაგალითი გაზაფხულზე სამაზრო აგრონომმა რ. გედევანიშვილმა ერობის გამგეობას სეზონიური მუშაობისათვის მოსთხოვა ფული, რაზედაც მთელი ორი თვე ალოდინეს, მაგრამ იმდენათ გვიანდებოდა, რომ უკვე მუშაობა თუ ერთი კვირაც შეგვიანებულიყო წელს ველარას გააკეთებდა მაზრაში, რის გამოც შევიყარა ჭონიშვილთან და კატეგორიულათ მოსთხოვა ფული და იცით რა პასუხი მიიღო: „რა დროს აგრონომიული დარგია, მოიცათ კიდევ, ჯერ მიდიცია უნდა დავაკმაყოფილო ფულითო“ აი ესეც ნიმუში. ასე გამოდის, რომ სამეურნეო დარგის სეზონიურ მუშაობას უფრო მეტის მოთმენა შეუძლიან, ვიდრე ერობის ინტერესებს. ეს ერობა ეს ერობა

ახალი ერობა ეს ერობა

ეს ერობა

ეს ერობა

სახებ მაგრამ იგივე პირი ბ. ჭონიშვილმა რაიონის აგრონომად დანიშნა და სათანადო პირადობის მოწმობაც უბოძა. როდესაც მაზრიდან დაბრუნდა მაზრის აგრონომი და ნახა ასეთი უთავბოლო განკარგულება შევიდა გამგეობაში საქმის გამოსარკვევად, რომ ალნიშნული სპეციალისტი აგრონომად არ შეიძლება დარჩეს, ვინაიდან მისი სპეციალობა აგრონომობას არ შეესაბამებაო, ჭონიშვილმა უპასუხა „რა საჭირო აგრონომი მაგით ოლას გავიდეთ, მე რა ვიცი მელვინეშეფინახეობის ინსტრუქტორს და აგრონომს შორის რა განსხვავება არისო და სხვა“. თურმე ბ. ჭონიშვილმა არ იცის რას აკეთებს და წაკითხვაც კი ეზარება, რო; სპეციალისტის ინსტრუქციის თანახმად მაინც იმოქმედოს. რა უყოთ აქაც სპეციალისტია. ბევრი ამისთანა მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ რას იზამს კაცი ცოტა არ იყოს ქალალდს უნდა გაფრთხილება, ვინაიდან ჭონიშვილის ნამოქმედარის მთლიან აღწერილობას ქალალდს გარდა ბევრი დროც დასჭირდებოდა, ვინ იცის იქნებ ამ წერილმა ბ. ჭონიშვილის გულის წყრომა გამოიწვიოს და მაშინ უფრო ვრცლად შევეხებით მის საქმეთა საგმიროებს. ჯერ-ჯერობით კი ახლა სხვა გამგეობის წევრებიც გავიცნოთ. როგორც ზევითაც მოვიხსენიე ამ წლის 20 ივლისიდან მოვიდნენ ახალი გამგეობის წევრები ბბ. თოთიბაძე, ლეჟავა და ტყემალაძე რას აკეთებს ყოველი მათგანი ამ მოკლე ხნის განმავლობაში.

გამგეობის წევრები ბ. ბ. თოთიბაძე, ყოფილი სოფლის მასწავლებელი გვარდიელის ნაწნით, რომელიც მას გულ მკერდს უმშვენებს. რას წარმოადგენს. რით დაიწყო მან დუშეთის მაზრაში მოღვაწეობა. ანე ივლისის 15-ტი იქნებოდა, რომ თოთებაძე გაჩნდა მცხეთის სადგურზე და მოიკითხა დუშეთის ერობის ავტომობილი, მაგრამ არ დახვდა, რის გამოც მან დიდი გულის წყრომა გამოსთქვა, მაგრამ რას იზამდა გაუდგა გზას და გადავიდა ს. მცხეთაში სადაც წამოეწია ყაზბეგში მიმავალი ხალხით გაჭედილი ავტომობილს, რომელიც გააჩერა და მიჰმართა შოფერს მისთვის ადგილი ეშოვნა ვინაიდან ის დუშეთის ერობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ბრძანდებოდა, რაზედაც სრულიათ ზრდიღობიანათ უარით უპასუხა შოფერმა ადგილის უქონლობისა გამო, ვინაიდან წამსვლელები ყველანი ყაზბეგში მიდიოდნენ და ვერავის დასტოვებდა. ამის გაგონებაზე თოთიბაძემ გაცეცხლდა და დაუწყო ათას გვარი მუქარა შოფერს, მაგრამ შოფერმა არ წაიყვანა და თოთებაძეს ხელი შერჩა მხოლოდ ავტომობილის ნატეხი. ეს იყო მისი პირველი დებიუტი დუშეთის მაზრაში, საიდანაც ყოველი ჩვენთაკანი დაინახავს უადგილოთ დიდი თანამდებობის მიღებას, რომლის გამოც ყოფილი სოფლის მასწავლებელი კანში ველარ ეტეოდა. როგორც იყო ავიდა დუშეთში. დაიწყო თავის ქება „ჩვენ ახალი გამგეობის წევრები ასე ვიზამთ, ისე ვიზამთ, ის ადარ იქნება რაც ძველი გამგეობის დროს აყოო და სხვა“ მართლაც ისე დაიწყეს, რომ ძველი დაგმობილი გამგეობა დღეს ეთილ მოსაგონლათა და საანეტაროთ გაუხდა დუშეთის მაზრას.

დარგების განაწილების შემდეგ ბ. თოთებაძეს ჩაბარეს, საგანმანათლებლო და ხაადმინისტრაციო განყოფილებები რომელთაც საფლძვლიანათ მოჰკიდა ხელი დაიწყო უამრავი დეპეშების გზავნა გურაიაში თავის ნათესავებსა და მეგობრებთან შემდეგი შინაარსისა: ოზურგეთი ამას და ამას „დაიკავე მცხეთის თემის თავმჯდომარის ადგილი“, კიდევ ოზურგეთი, ამას და ამას: „დაიკავე მუხრანის თემის თავმჯდომარის ადგილი.“ ლანჩხუთი: „დაიკავე ბაზალეთის თემის თავმჯდომარის ადგილი“, ოზურგეთი: „დაიკავე მაზრის სკოლების ინსტრუქტორის ადგილი“.

ოზურგეთი ერობის გამგეობას. „გამოგზავნეთ ოცი მასწავლებელი“

ოზურგეთი „დაიკავე მუხრანის თემის მილიციის უფროსის ადგილი“.

ოზურგეთი: „დაიკავე ახალ გორის თემის თავმჯდომარის ადგილი.“

ოზურგეთი: „დაიკავე უფროსი მილიციონერის ადგილი“ და სხვა. რომელ დეპეშათა საპ-სუხოთ ყოველ დღე მოდიოდენ და მოდიან გურიიდან ყველა ის პირები რომლითაც ესა თუ ის პორთფელი. შესთავაზა.

იყო ისეთიც დეპეშაც ოზურგეთი: „გადაეცით ამას და ამას, რომ მათთვის კაი ადგილები მაქვს, სუფსათ-სანოვაგითაც უზრუნველ ყოფილნი იქნებიან“.

ერთის სიტყვით დუშეთის მაზრა სხვა და სხვა დარგის სპეციალისტებით მოჰფინა. ბევრია ისეთი შემთხვევა, რომ ადგილობრივი მასწავლებელი მიყრუებულ სოფლებში გადიყვანა და ხალათ მოსულები კი მათ მაგიერ დანიშნა. იყო შემთხვევა, რომ 15—16 წლის ბიჭები მოვიდნენ გურიიდან ახლათ პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებულნი, რომელნიც დღესაც მსახურობენ მასწავლებლად იმისთანა ადგილას, როგორც არის ყაზბეგის სკოლა-ამავე სასწავლებელი დამთავრებულნი. კი დუშეთის სკოლიდან ბევრი იყო მთხოვნელი და არ მიიღო, მაგრამ რა უყოთ ალბათ ესეც პოლიტიკას მიეწერება.

ისიც პოლიტიკას მიეწერება, რომ ყველასგან ცნობილი დუშეთის მაზრის კომისრად ნამყოფი და ათას გვარ პასუხის გებაში მიცემული ალექსანდრე სარჯველაძე კვლავ მაზრის კომისრად წამოსვა და ამ რიგით ყოვლად კანონიერებას ჩაუყარა საძირკველი ხალხის თვალში. ეს თავის დარგები უკვე ფეხზე დააყენა და ახლა სხვა გამგეობის წევრის უფლებებშიც შეიჭრა მაგალითად, მედიკო სანიტარული განყოფილება ებარია გამგეობის წევრს ბ. გარსევანიშვილს, მაგრამ თათებაძე და ჭონიშვილი ამ დარგში ვისაც უნდა ნიშნავენ ვისაც უნდა ითხოვენ. იყო ასეთი შემთხვევა ბ. თოთიბაძეს დუშეთში არსებულ ერობის ლაზარეთის ეკონომკა, სათნობის და ფერშალი ქალი სამივე ქალები არ მოეწონა და უბრძანა „ქალ ქალს წამოეყენებინა გამგეობისათვის მოტივები მათი დათხოვნის შესახებ. რა საკვირველი მოტივებულ თითონვე უთხრა, რომელთა შორისაც სხვათა შორის ეკონომკა ქალი გაშკოვისა დაითხოვა იმიტომ, რომ იგი ამ ჟამათ ორსულად არის და ველარ იმუშავებსო. ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა თოთებაძის მოღვაწეობიდან, მაგრამ ჯერჯერობით ამითი დავკმაყოფილდეთ.

დუშეთის მაზრელი

(შემდეგი იქნება).

კორესპოდენტებს და თანამშრომელთა

რომელნიც მუდმივათ აწვდიან რედაქციას წერილებს პროვინციის (სოფლისა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი

კორესპოდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების, ფაქტების შესახებ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

არა ჩვეულებრივი კრება

დანიშნულია კვირას, **14** ნოემბერს დილის 11 საათზე.

პალატის ბინაზე (ეროვნულ საბჭოს ქუჩა № 11).

განსახილველი საგნები:

1. თბილისის კომერციულ სასწავლებლის ამხრუნველო საბჭოს წევრი არჩევა.
2. ქუთაისის ვაჭარ მრეწველთა კავშირის თხოვნა,
3. პალატის განყოფილების დაარსება ბათომში და ინსტრუქციის განხილვ
4. დამატებით ხარჯთ-აღრიცხვა ბათომის განყოფილებისა და სხვა საჭირ ებისათვის.

თუ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო კრება არ შესდ სამაგიერო დანიშნულია მეორე დღეს, საღამოს 6 ნახევ. საათზე. ეს კრება შე დგება მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვის რაოდენობისა.

მეცხვარეობა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მთელა მინდობილი აქვს

მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მწყემსს“.

რომლის საშუალებით ამ ავტომობილ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ა ხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარ და, რომელსაც იღებს მთავრობისაგან

მატყლის ადგილობრივად საფასურად,

მიიღებს აგრედვე წმინდა მოგებას ნაწილის და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაძღრებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი ... 10 პროც.
2) მეცხვარეს ამხანაგობა „წყემსის“ საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ... 45 პროც.
3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ... 45 პროც.

შეგროვილი მატყლი ... დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

მომარაგების სამინისტრო.

მატარებლების მიმოსვლა

ოქტომბრის 10-დან 1920 წ.

თბილისიდან გადის

ბათუმამდის № 3 10. ს. 58 წ. დილ.
ბათუმში ჩადის 7 ს. 27 წ. დილ.
ფოთამდის № 9 5. ს. 34 წ. ღამით.
ფოთში ჩადის 10 ს. 45 წ. დილ.
ბათუმამდის ჩქარი № 7 10. ს. 28 წ. საღ.
ბათუმში ჩადის 5 ს. 52 წ. საღ.
ბორჯომამდის № 19 3. ს. 19 წ. დღ.
ბორჯომში ჩადის 11 ს. 25 წ. დღ.
სალ-ოლლამდის 7 ს. 20 წ. დილ.
ხანაინამდის № 4 8. დილ.
სანაინში ჩადის 5 ს. საღ.
კახეთისკენ 8 ს. 30 წ. დილ.

თბილისში მოდის

ფოთიდან № 10 3. ს. 51 წ.
თფილისში მოდის 9 ს. 16 წ. დღ.
ბათუმიდან № 4 4. ს. 9 წ. დილ
თფილისში მოდის 1 ს. 1 წ. დ
ბათუმიდან № 8 11 ს. 37 წ. ღ
თფილისში მოდის 7 ს. 36 წ. ღ
ბორჯომიდან № 20 12 ს. 22 წ. ღ
თფილისში მოდის 7. ს. 47 წ. დილ
სალ-ოლლიდან 12 ს. 10 წ. დილ
ხანაინიდან № 4 7 ს. 30 წ. დილ
თბილისში მოდ. 3 ს. 20 წ. დილ
კახეთიდან თბილისში მოდ. 8 ს. 20 წ.

შენიშვნა: მატარებელს № თბილისიდან მიყვება სამი ვაგონი პირდ პირ ქუთაისამდის; აქეთ კი მატარებელ № 8 მოყვება ერთი ვაგონი მიქსტ (I—II კლ.) და ორი ვაგონი III კლასის

თბილისსა და ბათუმ-ფოთ ... მატარებლები დადიან 18—20 საათის გან მავლობაში.

ბათუმის მატარებლები № 7—8 დრ ებით არ დადის.